ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 2

ქ. თბილისი **16.01.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების" პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.

შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

თამარ კაპანაძე- სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ)

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (მ/შ)

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **შპს ელიტ სქული**

   მანანა ცეცხლაძე-დირექტორი;
   ჯემალ ცეცხლაძე- ფინანსური მენეჯერი;
   ნინო გორგილაძე- ხარისხის მართვის მენეჯერი.

2. **ა(ა)იპ- ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი**

   რუსუდან მანელიშვილი- სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი.

3. **შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩი"**

   ასმათ გახარია- სკოლის დირექტორი;
   ელისო ვეკუა- სკოლის დირექტორის მოადგილე.

4. **შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა**

   მალხაზ გვიჩია- სკოლის დირექტორი;
   როზა მახათაძე-სკოლის დირექტორის მოადგილე.

5. **შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი**

   მანანა გაბათაშვილი-სკოლის დირექტორი;
   დარეჯან ივანიშვილი- დირექტორის მოადგილე (ხარისხის მართვა)
   სალომე ქათამაშვილი- საინფორმაციო მენეჯერი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

- იანინა გიგიბერია;
- ხათუნა სიდამონიძე;
- ნელი ნასყიდაშვილი;
- მაია პაპუნაშვილი;
- ლევან ღურწკაია;
- ლია გრიგოლია; ;
- ნინო ვარდოსანიძე;
- ნინო ფეტვიაშვილი ;
- მაია პაპუნაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. შპს ელიტ სქულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩი“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს დამოუკიდებელი სკოლა „მომღვარი“-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

1. **შპს ელიტ სქულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა იანინა გიგიბერიამ საბჭოს წარუდგინა ჯგუფის დასკვნა და შენიშვნები. მან აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა სამივე საფეხურზე და სწავლობდა 66 მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. სასკოლო გეგმაში დაზუსტებული იყო სადამრიგებლო პროგრამა, ასევე საგნობრივი კათედრების ჩამონათვალი და ფუნქციები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო მოსწავლეთა შეფასების სისტემა, კათედრების/პედაგოგების პორტფოლიოებში კი წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები. მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ მიმდინარეობდა ინტერაქტიული სწავლება, ტარდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილები, ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა თანამშრომლობას.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ითქვა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა ლაბორატორიასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობდა საკლასო ოთახიდან გამავალ ოთახში. ვიზიტისას, მოხდა ხარვეზის გამოსწორება, საკლასო ოთახი გადაადგილდა პირველ სართულზე მდებარე ოთახში. ხარვეზად დაფიქსირდა სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი, რომლის კარი იყო ძალიან ვიწრო. ვიზიტისას მოხდა ამ ხარვეზის გამოსწორება, გაფართოვდა კარი. სკოლაში განთავსებული სათვლთვალო კამერები არ აკონტროლებდა ყველა დერეფანს, ეს ხარვეზიც ვიზიტის დროს გამოსწორდა კამერების დამატებით.

ექსპერტმა ხათუნა სიდამონიძემ საბჭოს წარუდგინა დასკვნა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ამ ნაწილში ხარვეზი პრაქტიკულად არ ყოფილა. რამოდენიმე მასწავლებელი არ იყო მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული, თუმცა სკოლას გაგზავნილი ქონდა მოთხოვნა მასწავლებელთა სახლში, მათი სქემაში ჩართვის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვებით: რას აპირებდნენ სკოლის განვითარებისთვის, რას გულისხმობდნენ „ახალ მიდგომებში", რომელიც

მისიაში ქონდათ გაწერილი. ასევე, ვინ და როგორ ატარებდა არჩევით საგანს -გეოგრაფიული კვლევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხი გასცა კითხვებზე. კერძოდ, მან მან აღნიშნა, რომ სწავლების დონის ამაღლებისათვის გეგმავდნენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეხვედრებს. გეოგრაფიული კვლევებთან დაკავშირებით კი სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა დაამატა, რომ საგანი ერთსმესტრიანია და მოსწავლეთა დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან მოსწავლეები უამრავ საინტერესო და კარგ ინფორმაციას ამუშავებდნენ ძველი წყაროებიდან, რესურსად იყენებდნენ ადგილობრივ გარემოს.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ დასვა შეკითხვა, რას გულისხმობდა მისიაში გაწერილი „თანამედროვე საზოგადოებისათვის მოსწავლეთა მომზადება, სწავლა-სწავლების დონის განუხრელი ამაღლება, რაც გამოისახება საგანთა სწავლებისადმი ახალი მიდგომებით, თანამედროვე ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნით". სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქ გულისხმობდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობას. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა კი დაამატა, რომ ამაში ითვალისწინებდნენ მაგალითად წიგნიერების, მედიაწიგნიერების, სხვადასხვა პროექტების განვითარებას. კერძოდ დაასახელა მათემატიკის შესახებ მათ მიერ შექმნილი ვებგვერდი, სადაც მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით ხდებოდა ქართველი მათემატიკური სკოლის წარმომადგენლების შესახებ მასალების შეგროვება და განთავსება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

დისკუსიის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ელიტ სქულისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ელიტ სქულს (ს/კ: 247009053) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

2. ა(ა)იპ- ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის. ექპერტმა ყურადღება გაამახვილა პოზიტიურ მხარეებზე, აღნიშნა რომ სკოლაში იყო კეთილგანწყობილი გარემო, იგრძნობოდა თანამშრომელთა მხარდაჭრა. 1-4 კლასებში მასწავლებლების დახმარებით მოსწავლეები აწარმოებდნენ პორტფოლიოებს, სადაც იყო მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასებები. სკოლაში ფუნქციონირებდა არჩევითი სპორტული სექციები, სპორტის გაკვეთილებისათვის არსებობდა დიდი მაღალჭერიანი დარბაზი, კეთილმოწყობილი გასახდელებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში სხვადასხვანაირად იყო წარმოდგენილი დაწესებულების დასახელება, რაზედაც დაწესებულებას მიეცა არნიშნული ხარვეზის გამოსწორების რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ფაქტი და დასძინა, რომ ისინი უკვე მუშაობდნენ ხარვეზის გამოსწორებაზე, თუმცა მოკლე დროში ვერ მოხერხდა პრობლემის მოგვარება.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე. საბჭოს წევრმა შალვა ტაბატაძემ დასვა შეკითხვა, თუ შევიდა ცვლილებები წესდებაში, თანხვედრაში თუ არის წესდება და სასწავლო გეგემა. შესაძლებელი იყო თუ არა სკოლისა და სასწავლო ცენტრის გამიჯვნა. ექსპერტებმა განმარტეს, რომ ვიზიტის დროს ცვლილებები არ განხორციელებულა, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ გრძანებით განხორციელდა ცვლილებები სასწავლო გეგმაში, სკოლისა და ცენტრის გამიჯვნას დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ, წესდებაში ცვლილებას კი ჭირდებოდა საპატრიარქოსთან შეთანხმება. მათ წერილით მიმართეს საპატრიარქოს და ელოდებოდნენ პასუხს.

გრიგოლ მურღულიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანეს ცვლილება და ცუდია, რომ ვერ მოხერხდა წესდებაში ცვლილების განხორციელება.

ექსპერტმა დასკვნიდან წარმოადგინა მოსაზრება დაწესებულების მისიასთან დაკავშირებით, კერძოდ მისიაში ეწერა: ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი ახალგაზრდობის აღზრდა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტისას მოხდა დაწესებულების მისიის კორექტირება. ასევე ვიზიტისას

მოხდა საღვთო სჯულის სტატუსის შეცვლა, დაფიქსირდა როგორც არჩევითი ფაკულტუტური საგანი.

- მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექპერტმა აღნიშნა, რომ გასაკეთებელი იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

ადმიანურ რესურსთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა. 7 მასწავლებელი არ იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, თუმცა სკოლის დირექციამ წარმოადგინა წერილები, მიმართვები ქობულეთის რაიონის რესურსცენტრთან ამ მასწავლებლებისათვის სტატუსის მინიჭების თაობაზე .

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, რა დროში შეძლებდნენ ხარვეზების აღმოფხვრას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მარტის ბოლომდე დაჭირდებოდათ დრო ხარვეზების გამოსასწორებლად, რადგან 45 დღე ჭირდება საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

დისკუსიის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართმადიდებლურ ცენტრისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1
გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართმადიდებლურ ცენტრს (ს/კ: 247009801) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

15:38 საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. 15:58 საბჭომ განაახლა მუშობა.

3. შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩი"-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ლევან ღურწკაიამ და ლია გრიგოლიამ. მათ აღნიშნეს რომ, სკოლას განაცხადი წარმოდგენილი ჰქონდა დაწყებითი საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უფლების მისანიჭებლად. შემდეგ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.

ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ წარმოადგინა დასკვნა პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. ესგ-სთან განსხვავებული იყო მხოლოდ ის რომ სკოლა 4 კლასიდან იწყებდა რუსული ენის სწავლებას. დოკუმენტაციიდან ჩანდა, რომ სკოლა წარმატებით ახორციელებდა სასწავლო პროცესს, ინტერვიუების დროს იგრძნობოდა მშობელთა პოზიტიური დამოკიდებულება.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზად დაფიქსირდა, რომ არ იყო საკმარისი სათვალთვალო კამერა, რის გამოც ვერ კონტროლდებოდა შენობის უკან კამავალი კარი. სკოლამ შემხვედრ ნაბიჯად წარმოადგინა საბუთი, რითაც დასტურდებოდა რომ მათ გამოწერილი ქონდათ დამატებითი კამერა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ოთხსართულიან შენობაში თუ იყო პანდუსი ყველა სართულზე. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ამჟამად არ ყავდა სსსმ მოსწავლე, თუმცა დასაწყობებული ქონდათ პანდუსი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დაამონტაჟებდნენ.

მარინა უშვერიძემ დასვა კითხვა მოსწავლეთა თვითშეფასების საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო თვითშეფასების პრაქტიკა და როგორ ხდებოდა თვითშეფასების შედეგების განხილვა და ანონიმურობის დაცვა. ექპერტმა ლია გრიგოლიამ უპასუხა, რომ ეს ასახული იყო მასწავლებლის განმავითარებელ კომენტარებში, ეწერა რომ გათვალისწინებული იყო მოსწავლის ესა თუ ის აზრი.

ექსპერტმა ლია გრიგოლიამ ისაუბრა სკოლის ადამიანური რესურსის შესახებ. აღნიშნა, რომ მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების სქემაში, ქონდათ შესაბამის სეთიფიკატები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმოამდგენელს, სკოლაში თუ ყავდათ მონიტორინგის ჯგუფი და მონიტორინგის რა მექანიზმები ქონდათ შემუშვებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძირითადად იყენებდნენ გაკვეთილებზე დასწრებას. მან დამატებით აღნიშნა, რომ სკოლა იყო ძალიან წარმატებული, მაგრამ რადგან ამჟამად მოსწავლეებს ვერ უზრუნველყოფდნენ პერსონალური კომპიუტერებით მოხდა კონტინგენტის შემცირება.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თუ ყავდათ ამჟამად მოსწავლეები საბაზო და საშუალო საფეხურზე.

ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ განმართა, რომ ამჟამად ყავდათ ასეთი მოსწავლეები, ვიზიტის დროს მოსწავლეთა მშობლებს განემარტათ, რომ საბაზო და საშუალო საფეხურები ვერ გააგრძელებდნენ ფუნქციონირებას და მობილობით უნდა გადანაწილებულიყვნენ სხვა სკოლებში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 110 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩისათვის" ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 110-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლას „ქიაჩი" (ს/კ: 242730149) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 110-ით.

4. შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ლევან ღურწკაიამ. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის. პროგრამულ ნაწილში არანაირი ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ყველა საჭირო დოკუმენტი წესრიგში იყო. ამ ეტაპზე სკოლას მემრანდუმი ქონდა გაფორმებული და მოლაპარაკებას აწარმოებდა კომაროვის სახელობის სკოლასთან, მათთან თანამშრომლობით ქონდათ აწყობილი სასკოლო სასწავლო გეგმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა ახლა იწყებდა ფუნქციონირებას, შესაბამისად ვერ გამოაცხადებდა კონკურსს თანამშრომელთა ასაყვანად, თუმცა პირობითათ ქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები საჯარო სკოლის მოქმედ მასწავლებლებთან.

ვიზიტისას პრობლემა დაფიქსირდა მიწის ფართის ფლობასთან დაკავშირებით, რომელიც აღმოიფხვრა დაწესებულების მიერ 2000 კვ.მ ფართობზე იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით. სკოლის შენობაში არსებობდა პანდუსები. ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი, რომლის გამოსწორებაც მოხდა ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თუ რატომ გადაწყვიტეს ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დაარსება, იყო თუ არა რაიმე მოთხოვნა და რა იქნებოდა სწავლის საფასური.

სკოლის დირექტორმა მალხაზ გვიჩიამ უპასუხა, რომ მოთხოვნა დიდი იყო. კოლეჯ ლაზიკას ბაზაზე მათ ქონდათ საშაბათო სკოლა, ყავდათ გამორჩეული კურსდამთავრებულები და აქედან წამოვიდა ამ სკოლის იდეა. ქალაქი უკვე ელოდებოდა სკოლას სექტემბრისთვის. სწავლის საფასური დაწყებით საფეხურზე იქნებოდა 100 ლ, საბაზოზე -150 ლ, საშუალოზე - 200 ლ თვეში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 180 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლას ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლას (ს/კ: 415096693) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

5. შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა მაია პაპუნაშვილმა და ნინო ფეტვიაშვილმა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ნინო ფეტვიაშვილმა აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის. მან აღნიშნა, რომ სკოლაში ვიზიტისას დაფიქსირდა როგორც არსებითი, ასევე არაარსებითი ხარვეზები. სკოლა განთვასებული იყო 4 სართულიან შენობაში, რომლის 3 სართული ათვისებული იყო, ხოლო მე-4 სართულზე მიმდინარეობდა რემონტი. პირველ სართულზე ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი. ხარვეზი დაფიქსირდა სათვალთვალო კამერებთან დაკავშირებით, კონტროლდებოდა მხოლოდ ერთი შესასვლელი. არ კონტროლდებოდა მეორე შესავლელი და შიდა პერიმეტრი. ადაპტირებული სველი წერტილი მხოლოდ მეორე სართულზე იყო, ამასთან არ იყო დამონტაჟებული პანდუსები.

მისიასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა „მოძღვარის" მისია გამომდინარეობდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან, თუმცა, მისიით განსაზღვრული მიზნები ზოგადი და ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანი იყო. მაგალითად, გაუგებარი იყო, რას გულისხმობდა მისიაში დასახელებული მიზანი, რომ „სკოლამ უნდა აღზარდოს პიროვნება, რომელიც გარკვეულ წვლილს შეიტანს სამყაროს განვითარებაში." სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლის მისიაში განისაზღვროს უფრო კონკრეტული მიზნები.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში მითითებული იყო საგნების საათობრივი დატვირთვა, რომელიც მოიცავდა როგორც სავალდებულო და არჩევით საგნებს, ასევე დამატებით სავალდებულო საგნებს. სასკოლო გეგმაში წარმოდგენილი იყო სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამრიგებლთა პროგრამა და საგნობრივი კათედრების ძირითადი მიმართულებები.

სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობდა საგანს რელიგიის ისტორია და კულტურა (მე-3 კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით). საგანი ისწავლებოდა ფაკულტატურის სახით. აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით დაფიქსირდა ერთი უზუსტობა: საგანი სასკოლო სასწავლო გეგმაში მოხსენიებული იყო, როგორც „რელიგიის ისტორია", საათობრივ ბადეში, როგორც „რელიგია", მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში, როგორც „რელიგიის ისტორია და კულტურა." თავად პედაგოგთან გასაუბრების დროს დაზუსტდა, რომ ისწავლება საგანი „რელიგიის ისტორია და კულტურა". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეასწოროს ჩანაწერები სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგანი ისწავლებოდა რ. თვარაძის სახელმძღვანელოთი. სახელმძღვანელოს რამდენიმე

ეგზემპლარი ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის, თუმცა აღნიშნული სახელმძღვანელო არ არის მითითებული სასწავლო რესურსის ჩამონათვალში.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბუნდოვანი იყო სპორტის სწავლების საკითხი. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, საგანი სპორტი ისწავლებოდა სწავლების სამივე საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს დამატებით ფაკულტატურის სახით სთავაზობდნენ ჭადრაკის ერთ-ერთ სახეობას - „გოს". სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით საგანი სპორტი სკოლაში ისწავლებოდა „აერობიკის, ჭადრაკის და ქართული ცეკვის სახით." ქართულ ცეკვა არ მიეკუთვნება სპორტის სახეობებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე ისწავლებოდა მხოლოდ აერობიკა, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის თანახმად, საბაზო და საშუალო საფეხურებზე უნდა ისწავლებოდეს სპორტის სამი სახეობა. ამასთან, საბაზო და საშუალო საფეხურების სპორტის პროგრამა არ მოიცავდა აერობიკის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, პროგრამაში შედიოდა სპორტის სხვადასხვა სახეობებთან დაკავშირებული აქტივობები. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს კი გაირკვა, რომ სპორტის გაკვეთილებზე ვაჟები, ძირითადად, კალათბურთს ან ფეხბურთს თამაშობდნენ, გოგონები კი, მათივე თქმით დგამდნენ ცეკვებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლას განსაზღვრული ქონდა მოსწავლის შეფასების სისტემა, სასწავლო წლის დასაწყისში დაზუსტებული იყო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმით არ იყო განსაზღვრული გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების ფორმები, რაც ესგ-ის მოთხოვნის დარღვევაა. ასევე, სკოლაში იყენებდნენ შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების ერთადერთ წერით ფორმას (თხზულება, ტესტი) და შემაჯამებელი სამუშაოებით უმეტეს შემთხვევაში ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებდნენ. ამგვარი მიდგომა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეთა შედეგები შემოწმდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრული ყველა მიმართულებების მიხედვით, რაც არღვევს ესგ-ს მოთხოვნას.

სკოლას განსაზღვრული ქონდა 2016-2017 სასწავლო წლის გამოცდების განრიგი, რომლის მიხედვითაც, სკოლაში გამოცდები ტარდებოდა დაწყებითი საფეხურის მეხუთე და მეექვსე კლასებშიც, რაც, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაუშვებელია. მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე კომენტარებით აფასებდნენ, თუმცა მშობლების თქმით, ქულებსაც უწერდნენ, რასაც არ ასახავდნენ ფორმალურად.

გრიგოლ მურღულიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ პრაქტიკულად ყველა ნაწილში არის დაფიქსირებული ხარვეზი. მან კითხვით მიმართა სკოლას, თუ რატომ არ არ მოაწესრიგეს დოკუმენტაცია ავტორიზაციის ვიზიტისათვის. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ ექსპერტების დასკვნის შემდეგ მოხდა გასწორებული დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

ირინა აბულაძემ იკითხა, თუ რომელ ნაწილში მოხდა ხარვეზის გამოსწორება, რაზეც სკოლის დირექტორმა უპასუხა რომ შეძლებისდაგვარად მოხდა ყველა საკითხის გამოსწორება, სკოლა წარმატებულად ახორციელებდა სასწავლო პროცესს, მათი კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებდნენ უმაღლეს სასწავლებელში.

გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო თავიდან გადახედვა წარმოდგენილი მასალის და ამაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა.

4:50 სთ-ზე საბჭო გავიდა სათათბიროდ.

სხდომის განახლების შემდეგ ირინა აბულაძემ განმარტა რომ, ძნელი იყო იმ მასალის შეფასება, რაც დაწესებულებას ქონდა წარმოდგენილი. ეს ყველაფერი ავტორიზაციამდე უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული. მოსწავლეთა ინტერესიდან გამომდინარე ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვოს მონიტორინგის განხორციელება, რომლის შედეგებსაც საბჭო დეტალურად განიხილავს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 175 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 175-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 4
გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: ირინა აბულაძემ, გრიგოლ მურღულიამ, თამარ ფხალაძემ, შალვა ტაბატაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარს (ს/კ: 208156261) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 175-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე